ნაციონალისტი

შაბათი, ოქტომბრის 23 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო № 20 ფასი 10 მან.

მისამართი:

რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.

რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22

ხელის მოწერა:

წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯთა)

ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი

მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე 2[illegible] მან. 3-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—400 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაციონალური პარტიის პირველი კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. ხელიბნო და საპარლამენტო არჩევნების სამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქ ებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ადგილები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

კონფერენციაზე დასწრება შეუძლიათ არა დელეგატებსაც—პარტიის წევრთ; ბილეთების წილება შეიძლება მთავარ კომიტეტში (წყნეთის ქ. № 17 ბინა 2 დღის 11 საათამდის)

კონფერენციაზე წაკითხული იქნება მოხსენებანი შემდეგ საკითხზე:

1.—საქართველოს საგარეო—პოლიტიკური მდგომარეობა.

2.—საქართველოს საშინაო—ეკონომიური მდგომარეობა.

3.—ჩვენი პარტიის ტაქტიკა—ოპოზიცია.

პროგრამაზე მსჯელობის დრის განხილული იქნება რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის დებულებანი.

კონფერენციის პირველი სხდომა გ ი ხ ს ნ ე ბ ა დ ღ ე ს, შ ა ბ ა თ ს, ს ა ღ ა მ ო ს 7 ს ა თ ზ ე ქ ა ლ ა ქ ი ს ს ა ბ ჭ ო ს დ ა რ ბ ა ზ ს ი

კონფერენციისათვის.

ნაციონალური პარტია (ანუ ეროვნული პარტია) დაარსდა 1918 წელს, სექტემბრის 12, როდესაც მოხდა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის გაყოფა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის გაყოფის მიზეზი იყო ის, რომ თავიდანვე პარტიაში ორგვარ მიმართულებას ჰქონდა ადგილი: ერთი (დღევანდელი „ნაციონალისტის“ მიმართულება) მთავარ ყურადღებას აქცევდა სოფლის, „აგრარულ“ ინტერესებს; მეორე კი („საქართველოს“ მიმართულება) მთავარ ყურადღებას აქცევდა ქალაქს, „ბურჟუაზიულ“ ინტერესებს.

პროგრამიული სხვადასხვაობას ზედ დაერთო განსხვავება ტაქტიკაში: ჩვენ ჯგუფი პარლამენტში აწარმოებდა ისეთ ოპოზიციას სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკის წინააღმდეგ, როგორიც შეეფერებოდა ნაციონალისტებს; „საქართველოს“ ჯგუფი კი წინააღმდეგი იყო ამ ოპოზიციის...

პროგრამისა და ტაქტიკის სხვადასხვაობამ მიიყვანა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გაყოფამდე. გაყოფის ბრალი „საქართველოს“ ჯგუფის იყო, რადგან ნან მოინდომა სარგებლობა ხმების უმრავლესობით მთავარ კომიტეტში და დაადგინა პარლამენტიდან ჩვენი მიმართულების მომხრე დეპუტატების გამოწვევა; ასეთი დადგენილება სრულებით უკანონო იყო, რადგან დეპუტატების გამოცვლა, მთავარ კომიტეტს კი არა, მხოლოდ კონფერენციას შეეძლო; რადგან კონფერენციის მოწვევას არ დასდანხმდენ, ჩვენ უნდა გავყოფოდით და ცალკე ორგანიზაცია მოგვეწყო, რომელიც დღეს „ნაციონალური პარტიის“ სახელით მოქმედებს.

ამით ჩვენ უზრუნველვყავით დამოუკიდებელი არსებობა იმ პარტიისა, რომელიც ნაციონალურ და აგრარულ პოლიტიკას მტკიცედ იცავდა, იცავს და დაიცავს მომავალშიც; ამით ჩვენ უზრუნველვყავით აგრეთვე პარტიული წარმომადგენლობა საქართველოს მთავარ პროვინციათა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსი, რადგან ეროვნულ-დემოკრატიული „ორგანიზაციები“ მათ პარლამენტის გარედ სტოვებდა.

მეორე წელიწადია, რაც ჩვენ დამოუკიდებლად ვმოქმედებთ.

ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი პარტია მონაწილეობდა დამფუძნებელ კრების ძირითად და დამატებით არჩევნებში და, მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაციები სულ მოკლე ხანის მოწყობილი იყო, ათი ათასამდე ხმა მიიღო და ორი დეპუტატი ჰყავს დამფუძნებელ კრებაში.

ამ ოთხი თვის წინ მთავარმა კომიტეტმა შეადგინა და გამოაქვეყნა ქვემოდ დაბეჭდილი პროგრამა, რომელიც აყალიბებს ნაციონალურ პოლიტიკას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

დღეს გაიხსნება ჩვენი პარტიის პირველი კონფერენცია რომელმაც სხვა პარტიულ საკითხებთან ერთად უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ეს პროგრამა.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოსთვის, რომლის უმრავლესობას სოფლის მესაკუთრენი გლეხები შეადგენენ,—სწორედ ნაციონალური (ეროვნული) და (სოფლური) პოლიტიკა არის აუცილებელი.

ამ შეგნებით ვესალმებით ჩვენ ნაციონალური პარტიის პირველ კონფერენციას და ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას!

გლეხის სალამო კონფერენციისადმი.

(ყაზბეგიდან)

მივესალმები ქართველი ერის შებაირახტრე ეროვნულ პარტიის პირველ კონფერენციას და ვუსურვებ მას გამარჯვებას ქართველი ერის საიმედოდ.

გზის სიშორის გამო, სამწუხაროდ, არ შემიძლიან ყაზბეგიდამ წამოსვლა და ჩვენს, ნამდვილს ქართულ ეროვნულ პარტიის კონფერენციაზედ დასწრება.

მე, როგორც თანამოაზრეს და თანამშრომელს ნაციონალურ პარტიისა, მსურს გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება და შეხედულობა ეროვნულ პარტიის გაძლიერების შესახებ.

საქართველოში მცხოვრებთა უმრავლესობას, დაახლოვებით 80% შეადგენს სოფლის ხალხი— გლეხობა. ყოველი გლეხი ბუნებით ნაციონალისტია, მეურნე, მწარმოებელი და მომარე საკუთრებისა. გლეხს თავისი სახლკარი, რომელშიაც პატარაობიდანვე ის აღიზარდა, ან თითო ააშენა, ბაღ ვენახი ყმაწვილობიდანვე შეყვარებულა, საქონელი თავის ხელში გაზრდილ გაშენებული ისე უყვარს, რომ მის სულსა და გულში პირველი ადგილი უჭირავს, როგორც მას საკუთარს ოჯახს,—ცოლშვილს. გლეხი თავის ოჯახს, თავის ქონებას სიხარულით შესტრფის, ამით ნუგეშობს, ამით სულდგმულობს; უოჯახოდ, უმამულოდ, უსახლკაროდ გლეხს ცხოვრება და სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია.

ამ-ტომ კონფერენციამ პირველი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის ხალხის ფსიხოლოგიას, შეუწყოთ ხელი მათ ზნე ჩვეულებას, შევაგნებინოთ გლეხს თავისი ვინაობა, თავისი ღირსება და გარჩევა მივსცეთ სოფლის ხალხს „მუშათა პარტიისაგან.“ გლეხმა ჯერაც არ იცის, რომ ის „მუშათა პარტიას“ არ ეკუთვნის, გლეხმა იცის, რომ ის ყველაზედ მეტსა მუშაობს და როცა აგიტატორები „მუშებს“ ქება-დიდებით იხსენიებენ, გლეხი აბეს თავის თავზედ ლებულობს, მოლაპარაკეს მადლობასა სწირავს. მუშა ხალხის მომხრეობისთვის და ჰგონიათ ეს ლაპარაკი უპირველეს ყოვლისა გლეხებს შეეხებათ და არ იციან, რომ მუშა პროლეტარი სულ სხვა არის და გლეხი სულ სხვაა.

ჩვენ გლეხობას უნდა შევაგნებინოთ, რომ ის არამც თუ თითონ სცხოვრობს თავისი შრომით, მისი მარჯვენა, მისი გუთანი აცხოვრებს და ასაზრდოებს საქებურ პროლეტარს „მუშებს“, ვაჭრებს და სამსახურის ხალხს. გლეხი მწარმოებელია, გლეხს ყველაფერი მოჰყავს მიწის მოსავალი, ინახავს საქონელს, ფრინველს, ფუტკარს. გლეხს ყველაფერი აქვს:

ერთის სიტყვით გლეხი ერის ჯახის შვილი, ყველაფრის მქონებელი, მაშასადამე მესაკუთრე და არა უსახლკარო, უქონელი „პროლეტარი მუშა“.

გლეხი თავისი შეცდომებიდამ უნდა გამოვიყვანოთ, გავაცნოთ თავის თავი, გავათამამოთ, ამაყი გავხადოთ, თავი მაღლა ავაღებინოთ, რომ იგრძნოს თავისი მეტობა სხვაზედ, მაშინ ის ნაციონალურ გრძნობაში უფრო ძლიერი და გაბედული იქნება, სოციალისტ აგიტატორებს მეტი ჩარათ, ენამეტათ და მატრაკვეკას სხვა თვალით დაუწყებს ყურებას და ასეთ აგიტატორების ლაპარაკს ნიადაგი დაეკარგება გლეხობაში.

აი, როცა ჩვენ გლეხებში ამ მცნებას შევიტანთ, მაშინ თავის თავად მოხდება ახალი სასწაული: სოციალისტურ მიმართულებას ნიადაგი გამოეცლება სოფლის ხალხში.

ჩვენ, ნაციონალისტები ამ ჟამად

პატარა პარტია ვართ, მაშინ როცა საქართველოში ნაციონალისტები ბუნებრივად ყველაზედ დიდი და ძლიერი პარტია უნდა იყოს და თუ დღეს გლეხობა შეცდომით „მუშათა პარტიის“ არის გადასული, ჩვენ პირველი ყურადღება ამ შეცდომის გამოსწორებას უნდა მივაქციოთ.

მართალია, არა გვაქვს ჩვენ, ნაციონალურ პარტიას, ნივთიერი შეძლება, რომ სოციალ-დემოკრატებივით სოფლებში აგიტატორები ვგზავნოთ ამ მცნების შესატანად, მაგრამ ვიქონიოთ სულიერი შეძლება, ვილაპარაკოთ, აუხსნათ გლეხობას თავისი ვინაობა, ვსწეროთ გაზეთებში გლეხების ინტერესების დამცველი წერილები, დავეხმარნეთ სოფლის ხალხს მის საქმეებში, ვავხდეთ ნამდვილი წრფელის გულიანი მშვლელი და ქომაგი მალი, ჩავახედოთ სოფლის ხალხის გულში, მათ სულისკვეთებაში, მისწრაფებაში, გული გულს იცნობს და გლეხობა ჩვენთან წამოვა.

გაუმარჯოს ქართველ ერს!

გაუმარჯოს ქართულ ეროვნულ პარტიას!

სიმონ შადური.

პროგრამა ნაციონალური პარტიისა.

წეს-წყობილება და საზოგადო დებულებანი.

1. საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო-რესპუბლიკა.

2. საქართველოს ტერიტორიას (მიწა-წყალს) შეადგენს:

I. ქართლი. II. კახეთი. III. იმერეთი. IV. სამეგრელო-საათაბაგო (მესხეთი) V. სამეგრელო. VI. გურია. VII. აფხაზეთი და VIII. სვანეთი.

ამიერ-კავკასიაში, ადმინისტრატიული დანაწილების მიხედვით ამ ტერიტორიას შეიცავს: თბილისის ყოფილი გუბერნია (ბამბაკით და ქვემო—ყარაიაზით), ქუთაისის ყოფილი გუბერნია (დვალეთით), სოხუმის ოლქი (ჯიქეთით), ბათუმის ოლქი, ზაქათალისა, არტაანისა და ოლთისის ოლქები და ყაზახის მაზრა.

ოსმალეთში საქართველოს ტერიტორია შეიცავს ლაზისტან-ჭანეთს და ის პირს.

3. უმაღლესი საკანონმდებლო ძალა-უფლება ეკუთვნის ხალხის წარმომადგენელთა კრებას (პარლამენტს);

პარლამენტს ირჩევენ სრულ წლოვანნი, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული ხმის მიცემით განურჩევლად სქესისა.

არჩევნების თავისუფლების დამრღვევნი ისჯებიან სისხლის სამართლის წესით.

4. უმაღლესი აღმასრულებელი ძალა ეკუთვნის მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

5. რესპუბლიკის უზენაესი წარმომადგენელი უნდა იყოს პრეზიდენტი.

6. სამოქმედიანო საქართველოს, აფხაზეთს და ზაქათალის ოლქს (საინჯილოს) აქვთ ავტონომია.

მაჰმადიანთა მოსახლეობისათვის საამართალი უნდა იქმნას მოწყობილი შარიათის წესით.

7. ყველა არაქართველ ტომთა კულტურულ-ეროვნული უფლებანი დაცულია კანონებით.

8. საქართველოს ყოველი ქვეშევრდომი თანასწორია კანონის წინაშე.

9. ხელუხლებლობა პიროვნებისა, ბინისა, საფოსტოსა და თავისუფლება სიტყვისა, წერისა, ბეჭდვისა, კავშირისა და მიმოსვლისა უნდა უზრუნველყოფილი იქმნას.

10. სასამართლო მთავრობისაგან სრულიად დამოუკიდებელია.

უმაღლესი სასამართლო ძალა ეკუთვნის სენატს, რომელსაც აქვს უფლება ყოველი დაწესებულების რევიზიისა.

11. არავინ არ შეიძლება დასჯილი იქნას ისე, თუ არა სასამართლოს წესით.

12. საქართველოს ქვეშევრდომთ როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად, აქვთ უფლება მიმართონ პეტიციით ან და საჩივრით მინისტრისა და მთავრობის უკანონო მოქმედების შესახებ, როგორც სენატს, ისე პარლამენტს.

13. ომსახობა, როგორც საფუძველი ერის გამრავლებისა, ორთავე სქესის თანასწორობით, იმყოფება სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ.

მრავალ-შვილიანთა შესახებ ზრუნვა შეადგენს სახელმწიფოს მოვალეობას.

II.

მიწის საკითხი და სოფლის მეურნეობა.

1. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ საქართველოს ყოველი ქვეშევრდომი უზრუნველყოფილი იქმნას სახლ-კარით ადგილ-მამულით და მეურნეობით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოსათვის ომში მონაწილეთ.

2. უმამულო და მცირე მამულიან გლეხებს სახელმწიფო აკმაყოფილებს მიწით იმ ფონდიდან, რომელიც ან წინად იყო ხაზინის ხელში, ან და რომელიც შესდგა ნორმაზე ზევით ჩამორთმეულ მიწებიდან.

3, სახელმწიფო აძლევს გლეხებს ამ მიწას სრულ საკუთრებად, შელავათიან პირობებში: გრძელ ვადიანი უსარგებლო სესხის სახით.

4. სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეულ კერძო მიწებში უნდა მიეცეს მეპატრონეთ სასყიდელი ხაზინიდან და ამით მათ ხელი უნდა აიღონ ჩამორთმეულ მიწების მფლობელობის ყოველნაირ უფლებაზე.

5. ტყის აგარაკები („დაჩები“) და საზოგადო საძოვარ-სანადარეები (იალაღები) თუ შენაძენი არ ყოფილა, ან და მაზედ შრომა ან ფული არ არის დახარჯული, უსასყიდლოდ უნდა იქნას ჩამორთმეული.

6. მიწების იძულებითი ჩამორთმევის დროს დაწესებული ნორმა უნდა შეფარდებული იქმნას მამულის სამეურნეო მდგომარეობასა და ოჯახის წევრთა (განურჩევლად სქესისა) რაოდენობასთან.

7. სახლ-კარი, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, წისქვილი და საზოგადოთ კულტურული შემუშავებული მეპატრონეს არ უნდა ჩამოერთვას.

8. სახელმწიფო ტყეებიდან სოფლის მცხოვრებთ ხე-ტყეს მასალა წინაურ საჭიროებისათვის უფასოდ უნდა მიეცეთ.

9. საგლეხო და სხვა საადგილ-მამულო ბანკების საშუალებით სოფლის ამხანაგობათა მიერ შეძენილი მიწა მათვე უნდა დარჩეს.

10. სახელმწიფო საფონდო მიწებით ყოველს ალაგას პირველად ადგილობრივი, მკვიდრი მცხოვრებნი უნდა იქმნან დაკმაყოფილებულნი.

11. დასახლებისათვის (კოლონიზაციისათვის) უნდა იქმნას გამოყენებული განაპირა მხრეებიან, სახელმწიფო საზღვართან მდებარე საფონდო მიწები, იმდენ გვარათ, რომ სახელმწიფოს თავდაცვა უზრუნველყოფილი იქმნას.

12. ყოველნაირი საჩივარი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ საქმეებზე (ნორმის განსაზღვრა და სხვ.) უნდა გარჩეულ იქმნას სასამართლოში, ხოლო თუ საჩივარი მინისტრის განკარგულებას შეეხება,—სენატში.

13. მიწის ჩამორთმევის დასრულების შემდეგ ყიდვა-გაყიდვა მიწისა უნდა იყოს თავისუფალი, შეუზღუდველი.

კერძო საკუთრება მიწაზე და მისი მემკვიდრეობით გადასვლა უნდა უზრუნველყოფილი იქმნას ძირითადი კანონით.

14. იმ გლეხებს, რომელთაც მიწის დასამუშავებლად საჭირო საინეურნეო იარაღი და საქონელი არ მოეპოვებათ, სახელმწიფომ სათანადო საშუალება უნდა მისცეს გრძელ-ვადიანი სესხის სახით.

15. სახელმწიფომ სამედიცინო დახმარება უნდა აღმოუჩინოს სოფლებს: უვარგისი ადგილების დამუშავებისა, ჭაობების დაშრობის, სარწყავ არხების და გზების გაყვანისათვის.

16 სასოფლო სამეურნეო კულტურის განვითარებისათვის საქართველოს ყოველ კუთხეში უნდა მოეწყოს სასოფლო სამეურნეო—უფასო სკოლები საცდელი და საჩვენებელი მინდვრებით, სანერგეებით და სხვ.

17. მთავრობა და პარლამენტი უნდა განსაკუთრებულ ყურადღებას და მფარველობას უწევდეს სოფლის მეურნეობას.

სოფლის ნაწარმოები (ღვინო, მატყლი, თამბაქო, აბრეშუმი, ხილი და სხვ.) უნდა დაცულ იქნას სავაჭრო კანონებით უცხო ქვეყნების კონკურენციიდან.

სოფლის მეურნეთა ინტერესების დაცვა ეკისრება საქართველოს სასოფლო—სამეურნეო შვლატას.

III

სამხედრო საქმე

1. სახელმწიფოს დასაცავად უნდა იქმნას მოწყობილი საკმაო რიცხოვანი ერთი მთლიანი სამხედრო ძალა რეგულიარული ჯარი.

2. ყველა არსებული დანარჩენი შეიარაღებული ნაწილები უნდა გაერთიანდეს ჯართან.

3. შეიარაღებულ ძალების გაერთიანებამდის ყველა არსებულ სამხედრო ნაწილებში სამსახურის პირობები (ულუფა, ჯამაგირი, პენსია და სხვ.) უნდა იყოს ერთნაირი.

IV

სარწმუნოება და ეკლესია

1. სახელმწიფო და ეკლესია დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისაგან.

2. ყველას აქვს სარწმუნოებისა, სინდისის სრული თავისუფლება.

3. სარწმუნოებრივი წესების დაუბრკოლებელი შესრულება უზრუნველყოფილია კონსტიტუციით.

4. ყოველ სარწმუნოების მიმდევრთა აქვთ უფლება სარწმუნოებრივ საზოგადოებათა დაარსებისა და მათი შეკავშირებისა.

5 სარწმუნოებრივ საზოგადოებებს აქვთ იურიდიული პირის უფლება.

სარწმუნოებრივ საზოგადოებათა კავშირი ითვლება საჯარო უფლების კორპორაციათ; მას უფლება აქვს გადასახადის აღებისა.

6. სარწმუნოებრივ კავშირთა და საზოგადოებათა საკუთრება და ქონება ხელუხლებელია.

7. უქმე-დღეები, როგორიცაა ქრისტიანთათვის კვირა, მაჰმადიანთათვის პარასკევი და სხვ. კანონიერ-ღაცული უნდა იქმნენ.

8. ჯარში და საერთოდ სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურში მყოფთ უნდა ჰქონდეთ საშუალება სარწმუნოებრივ მოვალეობათა შესრულებისა.

9. სკოლებში სამღვთო სჯულის სწავლება უნდა იქმნას უზრუნველყოფილი ყველა სარწმუნოების აღმსარებელთათვის.

V

ფინანსები, მრეწველობა და შრომა

1. არც ერთი გადასახადი (სახელმწიფო, საერობო ან საქალაქო) არ შეიძლება აკრეფილი იქმნას, თუ იგი არ არის დამტკიცებული პარლამენტის მიერ.

2. ქალაქების ბონების მაგიერ უნდა გამოშვებულ იქმნას ქართული ფული, უზრუნველყოფილი ევროპიული წესით.

3. არა პირდაპირი გადასახადები პირველ საჭიროების საგნებზე უნდა თანდათან გაუქმდეს.

პირდაპირი გადასახადები უნდა ემყარებოდეს შემოსავლის კვალობაზე გადასახადს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მცირე შემოსავალი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს გადასახადისაგან.

4. სახელმწიფო სათანადოდ ხელს უნდა უწყობდეს საქართველოს შინამრეწველობას, მრეწველობას და აღებმიცემობას, რათა ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო საქონელი საქართველოში მზადდებოდეს და ჩვეულებრივ ფასებში წვდებოდეს ხალხს.

5, სახელმწიფო უნდა ხელს უწყობდეს კოოპერაციას.

6. არავითარი რეკვიზიცია, ან კონფისკაცია კერძო ქონებისა არ შეიძლება დაშვებული იქნას, თუ იგი სახელმწიფოსათვის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს და პარლამენტის მიერ არ არის დაკანონებული.

არც მთავრობას, არც ქალაქებს, არც ერობებს რეკვიზიციის უფლება არ უნდა ჰქონდეს.

7. მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესება და მუშათა კლასის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს.

8. სამუშაო დღის მინიმუმის განსაზღვრა უნდა შეფარდებული იქმნას სოფლისა და ქალაქის მეურნეობის საერთაშორისო პირობებთან, რათა საქართველოს საწარმოო ძალების განვითარება არ შეფერხდეს.

9. სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მოხელენი, მოსამსახურენი და მუშები უნდა უზრუნველყოფილი იქნან ბინით და დაზღვევით.

მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებულია, 19 VI. 1920 წ.

უკანასკნელი ცნობები

მოსკოვი, 21 ოქტომბერს, (რა-
დიო). ინგლისის საგარეო მინისტრმა
საგარეო საქმეთა რუსეთის სახალხო
კომისარს ჩიჩერინს მიმართა ნოტით,
რომელშიც იმეორებს, რომ ინგლისის
ჯემები შავსა და ბალტიის ზღვაზე
ასაძირავენ საბჭოთა რუსეთის გემებს.

ამ მუქარაზე საბჭოთა მთავრობის
წარმომადგენელმა კრასინმა აცნობა
ერზონს, რომ რუსეთი ინგლისს არ
ებრძვის ინგლისთან ომის მდგომარეო-
ბას და წყალქვეშა ნავები კვლავ გა-
ემგზავნენ ზღვაზე სასწავლოდ და დასა-
ვავად. უცხო სახელმწიფოთა სამხედ-
ო გემებს. ურჩევნიათ არ გამოვიდნენ
ზღვებში, სადაც მათი საკუთრება არ
არსებობს.

მიუხედავად საზავო ხელშეკრუ-
ლებისა. მოსკოვის 21 ოქტომბერს
ინგლისთან პოლონეთის ასპარეზზე ბრ-
ძოლები ისევ ვითარდება. სლუცკის
მიდამოებში ბრძოლებია. ლულინოცკის
მიმართულებით, რუსებმა პოლონელთა
ოზიციები მოიგერიეს.

ნოვგოროდ—ვოლინსკის რაიონში
ბოლშევიკები წინ იწევენ. ძველი
კონსტანტინოვის მიმართულებით, პრო-
ტუროვსა დნესტრთან ბრძოლები და-
იწყო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲗᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ

რუსის ბალშევიკები ამერიკაში

ნიუიორკი. ამერიკული პრესა იუწყება: ამერიკის მცხოვრებლებმა შეერთებულ შტატების ვაჭრების და მწარმოებლების აპეტიტებზე დიდი გაიმარჯვესო. სიძვირესთან ბრძოლა ამერიკაში გამოიხატა იმ საქონლების წინააღმდეგ ბოიკოტის გამოცხადებაში, რომლებიც პირველ საჭიროების საგნებს არ წარმოადგენენ. ამ ბოიკოტმა რამოდენიმე კვირის განმავლობაში რამოდენიმე წარმოება სრულ განადგურებამდე მიიყვანა. მწარმოებლები იძულებულნ გახდნენ დაეწიათ ფასები მანუფაქტურაზე. დიდმა ფირმებმა თავის ნაწარმოებზე 50-ით დაუწიეს ფასი. კერძოთ „ფორდი“ ავტომობილებს ომის წინ არსებულ ფასებში ყიდის.

საფრანგეთი და რუმინია

ბუქარესტი. „კომუნისტი“ იუწყება: ბუქარესტში ბელგრადისა და უკრაინის მისიის წარმომადგენლის შორის სერიოზული მოლაპარაკება არისო.

აჯანყება უკრაინაში

„ავინტული“ ხარკოვის გუბერნიაში მომხდარ აჯანყების შესახებ იუწყება: რკინის გზა ხაზი ეკატერინკასა და ოდესის შორის გადაჭრილიაო.

აჯანყება ვოლგასთან

პარიზი. გელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ ვოლგის პირის გუბერნიებში ძალიან იზრდება ბოლშევიკების საწინააღმდეგო მოძრაობა. „ტანს“ მიუღია ცნობები კერძო აჯანყებათა შემთხვევების შესახებ ცარიცინსა, ყაზანსა, რიბინსკსა და სარატოვში. ეს აჯანყებანი დაცხრომილ იქნა. „ტანის“ ცნობით, საბჭოთა მთავრობა გადაწყვეტილი აქვს წითელი არმიის რეორგანიზაცია. ჯარების სათავეში ისევ ტროიცკი დარჩება, მის თანაშემწეთ იქნება პოდვოისკი.

ფრანგები და უკრაინა

რიგა. ოქტ. 20 საფრანგეთის კაპიტალისტებმა სამხრეთ რუსეთში შაქრის რამდენიმე ქარხანა შეიძინეს.

პოლონეთი და საფრანგეთი

რიგა. ოქტ. 16. პილსუდსკიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: საკითხი საფრანგეთის ნებას სრულიად დავემორჩილოთო.

ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის სხდომა ოთხშაბათს გვიან დასრულდა. საბჭოს გააცვნეს საკითხი სომხეთის მდგომარეობის შესახებ. რაც შეეხება გერმანიის მთავრობის წერილს ეიპენისა და მალმედის მდგომარეობის შესახებ, საბჭო მისი წაკითხვით დაკმაყოფილდა.

დუნაის კონფერენცია.

დუნაის კონფერენციის სხდომა ოქტ. 20 შესდგა. განხილეს სხვადასხვა საყურადღებო საკითხები.

პოლონეთის ზავი.

პოლონეთ—ბოლშევიკებს ზავი ძალაში შევიდა.

პალესტინაში.

ლონდონი. პალესტინის ლმაღლესმა კომისარმა სამეფოს ქვეყნის მართვა გამგეობისათვის 10 წევრისაგან საგანგებო კომიტეტი შეადგინა. კომიტეტში შედის 7 მართლმადიდებელი და ოსულმანი და 3 ებრაელი.

მოსკოვში

მოსკოვი. „პრავდა“-ს მოყავს სტატისტიკური ცნობები მოსკოვის მცხოვრებთა შესახებ. სულ მოსკოვში წითელ არმიელებთან ერთად 1.093,000 სული სცხოვრობს მაშინ, როდესაც 1918 წელს ცხოვრობდა 1,700,000. მცხოვრებთა რიცხვმა აქ 36 პროც. იკლო. პეტროგრადში კი 65 პროც.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

სამხედრო შენობები

მთავრობამ დაადგინა მიანდოს სამხედრო უწყებას, რომ მან სამხედროებში მისცეს ყველა სამხედრო ნაწილებს—ეფროსები, რომელნიც თავის უყურადღებობით სახაზინო შენობებს რაიმე ზიანს მიაყენებენ.

გადასახადი შემოსავალზე

— მთავრობამ მოიწონა ფინანსთა მინისტრის წინადადება საარსებო მინიმუმის რაოდენობის გადიდებისა 12.000-დან 40.000-მანეთამდე. ფინანსთა მინისტრს წინადადება მიეცა რომ სათანადო შესწორებანი შეიტანოს შემოსავალ კვალობის გადასახადში და ეს კანონი დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას წარუდგინოს.

ქარხნის ჩამორთმევა

მთავრობამ აგვისტოს 17 თავის დადგენილების შეცვლის მიზნით, რომელიც შროშის აგურისა და საღებავ ფაბრიკის იძულებით ჩამორთმევას შეეხებოდა, გადასწყვიტა ჩამოსართმევ ქონების ფასი განსაზღვროს 9 მილ. და 900.000 მანეთი იმ პირობით, რომ ამ ფულების მიცემის დროს ძველ მეპატრონეებს დაეჭიროთ ფირებუფლება იმ დანაკვეთ საქონლისა, რომელიც მათ უნდა გაეკეთებიათ. ეს ფირებულება მათ თანამედროვე ფასის მიხედვით გადახდებათ.

ვაჭრობა მარსელთან

მარსელში არსებულმა ძაფის დიდმა კომპანიამ მიმართა ერობათა კავშირის კომიტეტს წინადადებით საქართველოში ძაფის შემოტანის შესახებ. სატრანზიტო ხარჯებს კომპანია თავის თავზე იღებს.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ.

...რამდენი განწირულება და დაცემა ...ელმწიფის დიდებაში! ყველაზე ქა...ტიურ ეპოქაში ის მოვიდა, როგორც ...ვიანებული ჰარუნ-ალ-რაშიდი, „ქილილა და დამანას“ მთარგმნელი და „დასტულამას“ ბრძენი დამწერი იძულებულია ...ში ატრიალოს და წვრილ თვალა რკინა ...ცვას.

ძალაუნებურად გინდა აქ დაიჯერო ...ნდუსთა მითი „ავატარა“—ტიპებისა და ...ასიათების გაცხადებაზე, რომელსაც იგო...ებს სენ-ვიკტორიც, დასარწმუნებლად, ...რომ ვახტანგ მეექვსე თითქოს რომის იმ...ერატორი მარკუს ავრელიუსია, რომე...ლიც მე XVIII საუკ. ცისკარზე გაება სა...ართველოში. ...ასაკვირველია უფრო მკი...ე გამოცხადებით და უფრო ...იწრო წრე...ი. თუმცა იმავე სიწმინდის განკაცებით.

...არა დროს არ ყოფილა საქართველო ...თავის დასასრულთან ასე ახლოს, რო...გორც ამ ბაგრატიონის დროს, ისევე, ...როგორც ტროიანეს და ანტონინეს რომი ...მარკუს ავრელიუსის მიერ პურპურის მი...ღებისას. მისი სამეფო გაახმო ყიზილბა...ების ცეცხლმა. მის დროს უდაბნოები ...ფართოვდება და ქართული ჰორიზონტი ...იწროვდება. მთელ საბრძანებელში არ ...ფიქრ...ევება არც ერთი დაუმახინჯებელი ...ანონი და გაურყვნელი ხასიათი. მისი ...ჯანყებული ერისთავები ბრაზობენ რო...გორც კენტავრები. ეს ის დროა, როცა ...ოაინდული მისტერიები თავდება.

ამ საუკუნის დრამაში მრავალი საშინელი აკტია. მაგრამ ყველაზე ...ს აკტია სისხლიური, რომელსაც ეწოდება: „საქართველოს პოლიტიკის დუელი საქართველოს გეოგრაფიასთან“.

რუსეთის საშიშარი ქირურგი პეტრე, იმპერატორი, საშიშარ ოპერაციას უკეთებს საქართველოსაც.

პეტერბურგმა იცის საქართველოს სტრატეგიული და პოლიტიკური როლი შავი ზღვის დასავლურად, ასევე ეკონომიურიც-სავაჭრო გზისა სპარსეთ-ინდოეთში. მაგრამ არ იცის ის სვინდისი და „ღვთიური თავშეწირვა“, რომლითაც ასე აბეზრებდა საქართველოს.

მრავალ პოლიტიკურ კომბინაციებით ის ატყუებს თბილისის სამეფო კარს, ჰლლის ელჩების გზავნით და უთავბოლო დაპირებებით.

ცნობილია, რომ ამ დროს ჩვენი სარდლები ატაცებულნი იყვნენ ეკლესიური შეაგონებით, ხოლო ვეზირები იამბიკოებს სწერდნენ. სამეფო პოლიტიკაში კი, როგორც იტყვის სოლომონ ლეონიძე: „ჯვარი იყო სკიპტრის საფუძველი“.

თავისი ვრცელი გეგმის განსახორციელებლად აღმოსავლეთის პოლიტიკაში, სპარსეთის წინააღმდეგ მოკავშირედ, პეტრე პირველი იწვევს ვახტანგს—სპარსეთის სიუზერენს.

1722 წელს მთავარნი „ტარკოვსკი და აქსაიკი“ პეტრეს დარუბანდის დაჭერას უადვილებენ, თუმცა ალაღებული იმპერატორი ქვევით აღარ მიდის. ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲠᲝ

ᲐᲒᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ

...ყო წმინდა მოწამე საქართველოსთვის თუმცა სწინამძღვრობდა იმ საუკუნეს, რომელსაც არ ეკუთნოდა.

ბედმა მას ...ჩუქა ულარიბესი საქართველო... სახელმწიფო ჰყიდდა საეკლესიო ჭურჭელს და თავადების ქალები სამშობლოსათვის თმებიდან სამკაულებს იძრობდნენ. სილარიბე იქამდის მივიდა. რომ როგორც იგონებს ბესარიონ კათალიკოზი, მეფის დაგვირგვინებისა და ქორწილის ნადიმებში სამეფო კარი და თავადაზნაურობა ნაბდებში ისხდა...

ტყვეების ყიდვას აღარ ჰქონდა დასასრული ხოლო ულმობელი ყეენები დაქინებით ითხოვდნენ კონტრიბუციას...

უბედო მეფე მრავალი წელი იჯდა ტყვეობაში ქირმანს: აქ, და მერე საომარ კარავებში სწერდა წიგნებს, რომელნიც გვიბლავენ დინჯი ოსტატობით და მჭრელი ჭკუით.

თავის ოჯახში ის იყო უწყნარესი მამა. ბატონიშვილები ბაქარ და ვახუშტი უსათუოდ ატარებენ მის პროფილს...

სიკვდილმა უსწრო მას შორეულ ამტრახანს. საქართველო არ იყო მისი ღირსი და უფრო მისი ორი ბოლო წლით კარჩაკეტილ გამოტრრებისა. ამ დროს ის დაიწვა საქართველოთი, როგორც არავინ და საქართველომ მოაშთო იგი. ძველი ელლინი ისტორიკოსი ალბად იტყოდა მის სიკვდილზე: „ნუ სტირით მას, აღმერთეთ იგი. ის ღმერთებმა დაუთმეს ადამიანებს, ეხლა ისევ ღმერთებს დაუბრუნდა...

გ. ლეონიძე.

სინოდის მომრიგებელ ყრილობის თავმჯდომარეთ შ. გ. ტატიშვილის მაგიერ, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, ყრილობამ გ. ი. ორჯონიკიძე ამოირჩია.

— სასამართლო პალატის დეპარტამენტთა საერთო ყრილობის დადგენილების თანახმად ბათუმს გასამგზავრებლად დაინიშნა პალატის სესია, რომლის თავმჯდომარეთაც იქნება ა. გელოვანი, მასთან იქნება პალატის ორი წევრი: წივწივაძე და მ. სარაჯიშვილი. სესიის სხდომები მოხდება ნოემბრის 13-დან 21-დე. განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს.

ხორცის საქმე

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება მცხოვრებთა იაფფასიან ხორცის მიწოდების მიზნით დიდძალ შინაურ საქონელს ყიდულობს. სასურსათო განყოფილება სთხოვს იმპირთ, რომლებსაც შეუძლიათ მას საქონელი მიაწოდონ, მიმართონ სასურსათო განყოფილების კანცელარიას დილის 8—10 საათამდე, ან და გრაფის ქ. არსებულ „ხორცის“ ამხანაგობის კანტორას.

განკეგის საქმე

— ფინანსთა მინისტრის მოხსენების თანახმად, რომელიც ბანკების მოქმედების მოწესრიგებას შეეხებოდა, მთავრობამ დაადგინა: 1. თბილისში არსებული ყველა ბანკი ერთიანად პირობებში ჩააყენოს, 2. ყველა უცხო ბანკი, რომელთაც თბილისში თავისი განყოფილება აქვს, დეკემბრის 15-საკენ ადგილობრივ ბანკების მდგომარეობაში ჩააყენოს, ე. ი. მათ შეძლება იქნებათ იქონიონ აქსაკმაო ძირითადი კაპიტალი და იურიდიული პირთა უფლებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკების განყოფილებანი უნდა დახურულ, 3. ყველა კერძო ბანკმა სესხის აპერაციიდან წლიურად 12 % და მეტი არ უნდა აიღოს. ამასთანავე მათ საკომისიო თვეში 2 პროც. მეტი არ უნდა აიღონ. წელიწადში კი სულ 36 პროც. აღება, 4. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ბანკი ერთი თვის განმავლობაში გაცემულ ჩეკის რეალიზაციას ვერ მოახდენს, იგი უნდა დაიხუროს.

შრომის ბეგარა

პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ხელმძღვანელ შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტზე, რომელიც სავალდებულო შრომის ბეგარას ეხება. აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთხმად უარყო სავალდებულო შრომის ბეგარა, როგორც საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის შეუფერებელი. მსჯელობის დროს აღნიშნეს, რომ რუსეთში სავალდებულო შრომის ბეგარის განხორციელებამ უარყოფითი შედეგები მოიტანა და საერეურნეო ცხოვრებაში დეზორგანიზაცია გამოიწვია. შრომის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სავალდებულო შრომის ბეგარა მუშების იმ ნაწილზე გავრცელოთ, რომლებიც კავშირში არ შედიან და სპეკულაციას ეწევიანო. აღმასრულებელმა კომიტეტმა შრომის სამინისტროს მიერ განზრახული ღონისძიებანი შეუძლებლათ ჩასთვალა და სასურველად მოახდინოს შრომის ბიუროებმა, ურომლისოდაც დაქირავების შესახებ არც ერთი ხელშეკრულება არ უნდა დაიდვას. აღმასრულებელმა კომიტეტმა ბოლოს დაასკვნა, რომ შრომის ბეგარა შეიძლება გავრცელდეს აღნიშნულ მუშების ნაწილზე და სახელმწიფოში მცხოვრებ პარაზიტულ ელემენტებზეო.

ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან.

20 ოქტ. შესდგა კანონების გადამსინჯავ კომისიის მეორე კრება. განიხილეს საკითხი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. კომისიამ მიიღო კანონპროექტის 5 მუხლი.

1. სახელმწიფო არ აწესებს, არ კრძალავს, არ მფარველობს და არ ავიწროვებს არც ერთ სარწმუნოებას, 2) ყველას, ვინც კი საქართველოს ტერიტორიაზე სცხოვრობს, ეძლევა თავისუფლება: სარწმუნოებისა თანასწორად, სარწმუნოებისა სათანადო მღვდელ მსახურების შესრულებისა, ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლისა, და აგრეთვე უფლება, რომ არ ეკუთვნოდეს არც ერთ სარწმუნოებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებადართულია თავისუფალი პროპაგანდა, ქადაგება, სარწმუნოებრივი ხასიათის ლექციების კითხვა და საერთოდ ნებადართულია სარწმუნოებრივი ბრძოლის წარმოება. არავინ არ იქნება შევიწროებული მოქალაქეობრივ, ან პოლიტიკურ უფლებებში იმის გამო, რომ იგი ამა თუ იმ სარწმუნოებას ეკუთვნის. მოქალაქე არ შეიძლება შევიწროებულ იქნეს პოლიტიკურათ არც იმ შემთხვევაში, თუ იგი არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებს. 3) სახელმწიფო ხაზინის და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხები არ შეიძლება დაიხარჯოს რომელიმე სარწმუნოების სასარგებლოდ. შენიშვნა: მეხამე მუხლი არ ვრცელდება მღვდელ მსახურების შესრულების ისეთ საზოგადო დაწესებულებებზე, როგორის არის: სატუსაღოები, თავშესაფარები, ჯარი, სახალხო გვარდია და ფლოტი. ეს მუხლი არ ვრცელდება არც იმ თანხაზე, რომელიც მოხმარდება ისტორიულ მხატვრულ ღირებულებას მონასტრებსა და ეკლესიებს. 4. თავის სამრეწველობრივ დაწესებულების და მათ მოსამსახურეების შესანახ თანხის შესაქმნელად და აგრეთვე სხვა სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ყოველ სარწმუნოების მიმდევართ ეძლევათ უფლება თავისი საზოგადოების შექმნისა (მრევლი, თემი, ჯამაათი და სხვა), ამ საზოგადოებებს შეუძლიათ კავშირებში გაერთიანება. ყოველ წევრს შეუძლია გამოვიდეს ან შევიდეს კავშირში უბრალო განცხადებით, მაგრამ კავშირიდან გამოსული არ თავისუფლდება მასზე გაწერილი თანხის გადახდის მოვალეობისაგან. 5. იურიდიულ პირთა უფლება ეძლევა იმ სარწმუნოებრივ საზოგადოებებს და კავშირებს, რომლებიც სანახავად კანონისა აღნიშნული არიან საზოგადოებათა და კავშირთა რეგისტრაციით, და რომლებსაც არ დაუსახავთ მიზნათ მოგების აღება.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი

სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელიქ., 3

ბატონო საქართველოელნო

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი საჯაანადო დახმარებას აღმოუჩენს საზოგადოებას მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასამართლო საქმეებთა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) დროზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიმართ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა ამასალა მიიღება **თბილისში:** „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. №5

მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის

ბათუმამდის	№ 3	10. ს. 58 წ.	დილ.
ბათუმში ჩადის		7 ს. 27 წ.	დილ.
ფოთამდის	№ 9	5. ს. 34 წ.	დღით.
ფოთში ჩადის		10 ს. 45 წ.	დილ.
ბათუმამდის ჩქარი	№ 7	10. ს. 28 წ.	საღ.
ბათუმში ჩადის		5 ს. 52 წ.	საღ.
ბორჯომამდის	№ 19	3. ს. 19 წ.	დღ.
ბორჯომში ჩადის		11 ს. 25 წ.	დღ.
სალ-ოლლამდის		7 ს. 20 წ.	დილ.
სანაინამდის		№ 4 8.	დილ.
სანაინში ჩადის		5 ს.	საღ.
კახეთისკენ		8 ს. 30 წ.	დილ.

თბილისში მოდის

ფოთიდან	№ 10	3. ს. 51 წ.	
თფილისში მოდის		9 ს. 16 წ.	დღ.
ბათუმიდან	№ 4	4. ს. 9 წ.	დილ
თფილისში მოდის		1 ს. 1 წ.	დღ
ბათუმიდან	№ 8	11 ს. 37 წ.	ღამ
თფილისში მოდის		7 ს. 36 წ.	ღამ
ბორჯომიდან	№ 20	12 ს. 22 წ.	ღამ
თფილისში მოდის		7. ს. 47 წ.	დილ
სალ-ოლლიდან		12 ს. 10 წ.	დილ.
სანაინიდან	№ 4	7 ს. 30 წ.	დილ.
თბილისში მოდ.		3 ს. 20 წ.	დილ.
კახეთიდან თბილისში მოდ.		8 ს. 20 წ.	ს

შენიშვნა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოყვება ერთი ვაგონი მიქსტი (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დროებით არ დადის.

კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივათ აწვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მკაფიო და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც ნატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მოსარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა

პერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ლირსების, გაურეცხავი მატყლი 4.000 მან.

ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს ნიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.